488/4-1/21 2 25012021

488/4-1/21
25-01-2021

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაღწვდომობის შესახებ“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. ამასთანავე, მოკვლევის ფარგლებში შშმ ქალებისა და გოგონების მიერ გამოვლინდა ის სერვისები თუ პროგრამები, რომლებიც მათი ავტონომიურობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მიღწევას შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის. ასევე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

მოკვლევის ფარგლებში თქვენი უწყების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის შშმ პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიზნით არსებულ საკანონმდებლო გამოწვევებს, პრაქტიკაში არსებულ ბარიერებს; შეიმუშავებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებსა და პოლიტიკის მიმართულებებს.
2. უზრუნველყოფილ იქნას წარმოებული სტატისტიკისა და შეგროვებული ინფორმაციის გავრცელება ხელმისაწვდომი ფორმით.
3. იწარმოოს დასაქმებული შშმ პირების ოფიციალური სტატისტიკა, მათ შორის, გენდერული სტატისტიკა, კერძო სექტორში.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პუნქტის ნაწილის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიღწეულია დასახული მიზანი.

ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას.

დანართი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 70 (სამოცდაათი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქსტატი
National Statistics Office of Georgia
GEOSTAT

231-7-2-202102082006

N 7-231 08/02/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2021 წლის 25 იანვრის N488/4-1/21 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შემუშავებული თემატური მოკვლევის დოკუმენტით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ განსაზღვრული რეკომენდაციების თანახმად, საქსტატი მოიაზრება იმ სამუშაო ჯგუფის წევრად, რომელიც შეისწავლის შშმ პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიზნით არსებულ საკანონმდებლო გამოწვევებს, პრაქტიკაში არსებულ ბარიერებს, შეიმუშავებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებსა და პოლიტიკის მიმართულებებს. საქსტატი, როგორც ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრი, მზადყოფნას გამოთქვამს აქტიურად ჩაერთოს სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და მიიღოს მონაწილეობა შშმ პირების სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;
2. სტატისტიკური მონაცემების გავრცელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ გაცნობებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ შესაბამისი მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საქსტატის მიერ მაჩვენებლები ვრცელდება ვებ-გვერდზე (www.geostat.ge) და ასევე, ინფორმაცია გაიცემა მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე. გასულ წელს, იუნისეფის მხარდაჭერით, საქსტატმა შეიმუშავა პორტალი ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვისაც. ამასთან, მიმდინარე წელს, გაეროს მხარდაჭერით გათვალისწინებულია საქსტატის ძირითადი საიტის ადაპტირება შშმ პირებისთვის, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის სტატისტიკის სისტემისთვის, რათა განხორციელდეს სტატისტიკური ინფორმაციით ყველა კატეგორიის მომხმარებლის უზრუნველყოფა.

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10 ელ-ფოსტა: info@geostat.ge
ფაქსი: +995 32 236 72 13 www.geostat.ge
საქსტატი www.geostat.ge

3. შშმ პირების დასაქმების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან, რომელიც ჩატარდა 2014 წელს. საქსტატი მოსახლეობის მომდევნო აღწერის ჩატარებას გეგმავს 2023 წელს, საიდანაც ხელმისაწვდომი იქნება განახლებული ინფორმაცია. დამატებით გაცნობებთ, 2018 წელს საქსტატის მიერ ჩატარებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების შეფასების ექვს სფეროს: მხედველობა, სმენა, სიარული, შემეცნება, თავის მოვლა და კომუნიკაცია. 18-49 წლის ასაკის მოსახლეობის შესახებ მონაცემები ფუნქციონირების შეზღუდვის სფეროების და სქესის მიხედვით ხელმისაწვდომია დასახლების ტიპის, რეგიონის, ასაკის, განათლების, შინამეურნეობის უფროსის ეროვნების, შინამეურნეობის უფროსის დევნილობის სტატუსის და კეთილდღეობის ინდექსის კვინტილური ჯგუფების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია, აგრეთვე, ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე.

ამასთან, ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატი, მუდმივ რეჟიმში ახორციელებს ადმინისტრაციულ წყაროებზე დაკვირვებას და მზადყოფნას გამოთქვამს, მომავალი წლიდან, შშმ პირების შესახებ დამატებითი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განიხილოს სტატისტიკური სამუშაოების ყოველწლიურ პროგრამაში ახალი ინდიკატორების დამატების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი